კონკურსის „ფინედუ კუთხე სკოლის ბიბლიოთეკაში"ფარგლებში ჩატარებული აქტივობის წარდგენის ფორმა

ინფორმაცია კონკურსანტის შესახებ	
სკოლის დასახელება	კონკურსანტი მასწავლებლის სახელი, გვარი, პოზიცია
სსიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ სართიჭალის N3 საჯარო სკოლა	ნინო სამხარაული.

კონკურსის „ფინედუ კუთხე სკოლის ბიბლიოთეკაში"ფარგლებში ჩატარებული აქტივობის წარდგენის ფორმა

ინფორმაცია ბიბლიოთეკის საჭიროებაზე	
აღწერეთ, რატომ გსურთ სკოლის ბიბლიოთეკაში „ფინედუს“ კუთხის დამატება • რატომ არის მნიშვნელოვანი სკოლაში „ფინედუს“ კუთხის გახსნა? • როგორ შეუწყობს ხელს „ფინედუს“ კუთხე სკოლას და განათლების პროცესს? • რა შეუწყობს ხელს მოსწავლეებსა და მასწავლებლებს, აქტიურად გამოიყენონ „ფინედუს“ კუთხის მასალები?	„ფინედუს“ კუთხის მოწყობა და ინტეგრაცია ზოგადსაგანმანათლებლო სივრცეში იქნება ერთგვარი ინოვაციური მიდგომა თანამედროვე გამოწვევებსა და მომავალი თაობის ცხოვრებისეული უნარების გაძლიერებას შორის.კუთხის გახსნა მნიშვნელოვანია,რადგან ამაღლდეს მოსწავლეთა ფინანსური ცნობიერების დონე,რაც 21-ე საუკუნის სწრაფად ცვალებად სამყაროში უაღრესად საჭირო საბაზისო უნარია.გაიზარდოს სასკოლო თემის ფინანსური თვითშეგნების კულტურა და ხელი შეეწყოს მოსწავლეთა წარმატებულ ინტეგრაციას შრომით ბაზარსა და სამოქალაქო ცხოვრებაში.„ფინედუს“,როგორც ინოვაციური კუთხის არსებობა საშუალებას მისცემს მოსწავლეებს დაეუფლონ ცხოვრებისეულ საჭიროებებზე ორიენტირებულ უნარებს.ის ხელს შეუწყობს მოზარდების გააქტიურებას არაფორმალურ პროცესებსა და საინტერესო აქტივობებში,რაც სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესების ერთ-ერთი ხელშემწყობი პირობაა.განათლების პროცესში „ფინედუ“ წარმოადგენს ერთ-ერთ საკვანძო პლატფორმას,სადაც მოსწავლეს აქვს საშუალება დაეუფლოს ფინანსურ წიგნიერებას, მიზანმიმართულ დაგეგმვას და სოციალური ინკლუზიის პრინციპებს.ის ამზადებს მომავალ თაობას ცხოვრებისეული,რეალური გამოწვევებისათვის,რომელიც საშუალებას აძლევს მოზარდებს განივითარონ კრიტიკული აზროვნება და იყვნენ უფრო თავდაჯერებულნი.“ფინედუს“კუთხის მასალების ეფექტიან გამოყენებას ხელს შეუწყობს სწავლების ინტერაქტიული ფორმები,საინტერესო,რეალურ ცხოვრებასთან დაკავშირებული პრაქტიკული დავალებები და თამაშზე დაფუძნებული აქტივობები.მნიშვნელოვანია მასწავლებელთა პროფესიული განვითარება და მეთოდური მხარდაჭერა.“ფინედუს“ კუთხის აქტიურად ფუნქციონირებისთვის მნიშვნელოვანია სკოლამ შექმნას ინოვაციური და თანამშრომლობითი სწავლების ხელშემწყობი გარემო.

კონკურსის „ფინედუ კუთხე სკოლის ბიბლიოთეკაში"ფარგლებში ჩატარებული აქტივობის წარდგენის ფორმა

ინფორმაცია ჩასატარებული პროექტის/აქტივობის შესახებ	
პროექტის /აქტივობის დეტალები	ქვემოთ მოცემულ ველებში დეტალურად აღწერეთ პროექტი/აქტივობა, რომელსაც განახორციელებთ/დააინიცირებთ „ფინედუს“ მასალების გამოყენებით 2025 წლის 20 დეკემბრამდე. • შეგიძლიათ აღწეროთ როგორც ხანგრძლივი პროექტი, მაგ.: ფინანსური განათლების კლუბის შექმნა, სემესტრული კონკურსები, მასალების სხვა საგნებში ინტეგრირება და სხვ. ასევე, კონკრეტული, ერთჯერადი აქტივობები, მაგ.: ტრენინგი, დისკუსია და სხვ. • განგრძობით პროექტებში ინიცირება გულისხმობს პირველი აქტივობის ჩატარებას.
მიზნობრივი სეგმენტი (მოსწავლეები, მშობლები, მასწავლებლები ან სხვ)	მიზნობრივ სეგმენტს წარმოადგენს საბაზო (VII-X) მოსწავლეები, მასწავლებლები,მშობლები.
ადგილი, ხანგრძლივობა, ჯერადობა	გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ სართიჭალის N3 საჯარო სკოლა. ხანგრძლივობა: 2024-2025 სასწავლო წლის 1 ოქტომბერი-10 დეკემბერი. 10-12სამუშაო შეხვედრა.
ინდივიდუალურად განახორციელებთ თუ სხვა პირის ან ორგანიზაციის ჩართულობით (თუ სხვაც ჩაერთვება, პერსონალური მონაცემების მითითების გარეშე),მოკლედ აღწერეთ რა დანიშნულებით/ფუნქციით ჩაერთვება	მე ვიქნები პროექტის ხელმძღვანელი. ჩავრთავ მათემატიკის, სამოქალაქო განათლებისა და ქართული ენის პედაგოგებს.მათი ჩართვა მოიაზრებს საკუთარ საგნებში ისეთი აქტივობების დაგეგმვა-განხორციელებას, რომელიც დაუკავშირდება ფინანსური განათლებას საკითხებს და მათ ინტეგრირებას საგნობრივ კურიკულუმებში.ასევე მოვახდენ მოსწავლეთა მშობლების ჩართვას,რაც ხელს შეუწყობს “სკოლა-მშობელი”ურთიერთთანამშრომლობითი კულტურის გაძლიერებას.

კონკურსის „ფინედუ კუთხე სკოლის ბიბლიოთეკაში"ფარგლებში ჩატარებული აქტივობის წარდგენის ფორმა

პროექტის/აქტივობის აღწერა (მიუთითეთ ყველა რელევანტური ინფორმაცია პროექტის იდეის შესაბამისად: რაში მდგომარეობს იდეა, როგორ წარიმართება შეხვედრა/შეხვედრები, რა სტრუქტურით და თანმიმდევრობით განიხილავთ თემებს, რა სავარუდო თემები დაიფარება, რა მეთოდებს გამოიყენებთ და როგორ დაუკავშირებთ ფინანსურ განათლებას, რამდენი მონაწილე ჩაერთვება, პროექტი განგრძობითია თუ ერთჯერადი)	პროექტის მთავარი იდეა.პროექტი: „დავგეგმოთ მეტი,გავფლანგოთ ნაკლები“არის ინტეგრირებული საგანმანათლებლო ინიციატივა,რომლის ძირითადი იდეაა საბაზო საფეხურის მოსწავლეებში ფინანსური ცნობიერების ამაღლება,ფინანსური უნარ-ჩვევების გამომუშავება და პასუხისმგებლობით მოქცევა ფულთან.პროექტი ეფუძნება აქტიური სწავლების მეთოდებს და მოიცავს თემატურ აქტივობებს,რომლებიც ხელს უწყობს მოსწავლეთა ფინანსური წიგნიერების,კრიტიკული აზროვნებისა და რეალურ ცხოვრებაში სწორად ნავიგაციისთვის საჭირო უნარების დაუფლებას.ასევე,ხელს უწყობს მოზარდი თაობის პასუხისმგებლიანი ქცევის ჩამოყალიბებას როგორც პირად,ისე საზოგადოებრივ დონეზე.შეხვედრები ჩატარდება კვირაში 1-2 ჯერ,ჯამში 10-12 შეხვედრა.რადგან სკოლა მცირეკონტიგენტიანია,პროექტში ჩაერთვება დაახლოებით 30-35 მოსწავლე.3 პედაგოგი,მშობლები სურვილის მიხედვით.პროექტი განგრძობითი ხასიათისაა. <u>შეხვედრების სტრუქტურა:</u>თითოეული შეხვედრა მოიცავს:თემატურ მინილექციას/დისკუსიას(15-20 წთ);თემატურად შერჩეულ აქტივობას/სიმულაციას/პრაქტიკულ დავალებას(25-30 წთ);შეხვედრის შეჯამება/რეფლექსიას(10-15 წთ) <u>გამოყენებული მიდგომები/მეთოდები:</u>გამოცდილებაზე,პროექტზე,პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება.ინტეგრირებული სწავლება.როლური და სიმულაციური თამაში.დამოუკიდებელი,ჯგუფური და წყვილებში მუშაობა.დისკუსია,პრეზენტირება. პროექტის ფარგლებში დასაფარი სავარაუდო საკითხები:პირადი ბიუჯეტის დაგეგმვა;დანაზოგის მნიშვნელობა/დაგეგმვა;ანაბარი/ანაბრის სახეები;სესხი/სესხის ტიპები და პასუხისმგებლობა;საბანკო მომსახურება/ფინანსური ინსტიტუტები;მომხმარებელთა უფლებები/პასუხისმგებლობები. <u>თემების თანმიმდევრობა</u> თემაI. ფული,ბიუჯეტი და შემოსავალი. <u>აქტივობა1.„რას ნიშნავს ფული?“</u> აღწერა:მოსწავლეები სხდებიან წრეზე და საუბრობენ,რას ნიშნავს მათთვის ფული-როგორც საგანი, რესურსი და მიზანი.მსჯელობენ,საიდან მოდის ფული და როგორ იყენებენ მას.შემდეგ მასწავლებელი სთხოვს,მოსწავლეებს აირჩიონ ფერადი ბარათებიდან ერთი.სადაც წერია ერთი კითხვა.მოსწავლემ უნდა მოიფიქროს კითხვაზე პასუხი და იმსჯელოს.(მიზანი-მოსწავლეთა ინტერესის გაღვიძება;ფულის ცნების გააზრება)

	<u>აქტივობა2.„ჩემი შემოსავლების რუკა“</u>-აღწერა:მოსწავლეები ქმნიან პირად „შემოსავლის რუკას“,სადაც აფიქსირებენ ყველა გზას,რომლითაც ფული შეიძლება მიიღონ(ჯილდო,საჩუქარი,გაყიდული ნივთი,სამუშაო).(მიზანი-ფულის წყაროების გაცნობიერება/შემოსავლების მრავალფეროვნების გააზრება). <u>აქტივობა 3 „თამაში-ოჯახის ბიუჯეტი“</u> აღწერა:მოსწავლეები მუშაობენ წყვილებში.თითოეულ წყვილს ეძლევა პირობითად ოჯახური ბიუჯეტი(მაგ:1,000 ლარი).წყვილებმა უნდა დაგეგმონ:ა)ძირითადი ხარჯები(საკვები,ტრანსპორტი,განათლება. ბ)დანაზოგი გ)დასვენება/ გართობის ხარჯები(კინო,პიკნიკი) შეაჯამონ და იმსჯელონ:დარჩათ თუ არა თანხა?რა აირჩიეს დაზოგვისთვის?(მიზანი-ბიუჯეტის დინამიკის გაცნობა/პრიორიტეტების დაგეგმვა) თემაII-დანაზოგი/ანაბარი. <u>აქტივობა1.„ყულაბა და ჩემი მიზანი“ -</u>აღწერა:მასწავლებელი სთავაზობს და მოსწავლეები ირჩევენ სასურველ ფინანსურ მიზანს (წიგნი,სათამაშო,ექსკურსია,კინო)და ქმნიან გეგმას-რამდენი უნდა დაზოგონ,რამდენ ხანში და როგორ.ასევე,ქმნიან საკუთარ „პერსონალური ყულაბის დღიურს“ და აკეთებენ ჩანაწერებს.(მიზანი-მოსწავლეებში გამოვიწვიოთ მიზნობრივი დაზოგვის სტიმულირება) <u>აქტივობა2 „ყულაბა თუ ანაბარი?!“(ვადიანი ანაბრის სიმულაცია)</u>-აღწერა:მასწავლებელი მინი ლექციის სახით აცნობს მოსწავლეებს ანაბარს და მისი გამოყენების მიზნობრიობას.შემდეგ სთავაზობს დავალებას:მოსწავლეებმა ერთმანეთს უნდა შეადარონ ორი შემთხვევა: ა)ყულაბაში მოთავსებული ფული და ბ)ანაბარზე შეტანილი ფული,რომელსაც ყოველ თვე ემატება 5%.მოსწავლეები აანალიზებენ როგორ იზრდება დანაზოგი ჩვეულებრივ ყულაბაში და როგორ მუშაობს ვადიანი ანაბარი(5%-იანი სარგებელი თვეში).ამ მონაცემებით აკეთებენ გამოთვლებს და აჯამებენ,რომელი ვარიანტია უფრო მომგებიანი.(მიზანი-მოსწავლეებმა გაანალიზონ ანაბრის იდეა/ სარგებლი) <u>აქტივობა3.“სად დავაბანდო ფული?“</u> აღწერა:მასწავლებელი მოსწავლეებს მინი ლექციით აცნობს ინფორმაციას ანაბრის ტიპების შესახებ.მოსწავლეთა ჯგუფებს ურიგდებათ წინასწარ მომზადებული მარტივი,ადაპტირებული ბარათები,სადაც წერია თითოეული ანაბრის აღწერა(ანაბრის სახე,პროცენტი,რისკი,სარგებელი).მოსწავლეები მსჯელობენ რომელია უკეთესი მათთვის.პრეზენტაციის სახით წარადგენენ დავალებას.(მიზანი-ანაბრების ტიპების გაცნობა).

	<u>აქტივობა4:„ჩემი პირველი ანაბარი“-.</u>აღწერა:თითოეულ მოსწავლეს ეძლევა პირობითი თანხა(მაგ:100 ლარი).უნდა აირჩიონ ანაბრის ტიპი.მომდევნო კვირების მიხედვით რვეულებში აწარმოონ ჩანაწერი:რამდენი დაუგროვდათ?როდის შეძლებენ გამოტანას?რა სხვაობაა მოთხოვნამდე და ვადიან ანაბარს შორის?რა მოხდება ანაბრის დარღვევის შემდეგ?(მიზანი-მოსწავლეებმა გაიაზრონ დაგროვების მექანიზმები) <u>აქტივობა5:„სად გადაგვარჩინა ანაბარმა?”-</u>აღწერა:მასწავლებელი მოსწავლეებს ანაწილებს ჯგუფებში და სთხოვს,მოიფიქრონ პატარა ისტორია მოთხრობის/კომიქსის სახით,სადაც რომელიმე პერსონაჟს სჭირდება თანხა.დავალებაში უნდა წარმოაჩინონ სიტუაცია,სადაც აღწერენ როგორ დაეხმარათ მათ ანაბარი რთულ მომენტში.(მიზანი-ანაბრის სარგებლის ემოციური და პრაქტიკული გააზრება) <u>აქტივობა***6.„***იმყოფინე ***10*** ლარი***“(***დაზოგვის მისია)</u>აღწერა:მოსწავლეები მუშაობენ წყვილებში.წყვილებს ეძლევათ დავალება:“გაატარე ერთი დღე 10 ლარით“.მოსწავლეებმა უნდა დაგეგმონ დღიური ხარჯები(საჭმელი,ტრანსპორტი,გართობა),დაზოგონ და მოკლე პრეზენტაციით გაუზიარონ ერთმანეთს გამოცდილება.(მიზანი-ხარჯების კონტროლის პრაქტიკა,არჩევანის მნიშვნელობის გააზრება) თემაIII- სესხი და პასუხისმგებლობა <u>აქტივობა1: „როდის ავიღოთ სესხი?“-</u>აღწერა:მასწავლებელი ატარებს მინი ლექციას თემაზე:რა არის სესხი.განიხილავს სესხის დადებით,უარყოფით მხარეებს და სესხის საჭიროება/მიზნობრიობას.გამოიყენებს მიზნობრივად გაკეთებულ პრეზენტაციას და პროექტორს.(მიზანი-საბანკო ოპერაცია-სესხის გაცნობა) <u>აქტივობა2.„სესხი თუ მოთმინება?“</u>აღწერა:მოსწავლეები მუშაობენ ჯგუფურად.ეძლევათ სიტუაციური ამოცანა:როგორ შეიძინონ წვეულებისთვის კაბა/კომპიუტერული მოწყობილობა.ჯგუფებმა საჭიროა გააკეთონ არჩევანი.სასურველი ნივთების შესაძენად ა)აიღონ სესხი და გადაიხადონ 10%-ით მეტი ბ)დაზოგონ 4 კვირა და დანაზოგით იყიდონ სასურველი ნივთები.ჯგუფებს ეძლევათ დრო მსჯელობისთვის და შესრულებული დავალების წარდგენისათვის.(მიზანი-მოსწავლეებს განუვითარდეთ გადაწყვეტილების მიღების უნარები ფინანსური პასუხისმგებლობის გათვალისწინებით) <u>აქტივობა3.„სესხის სახეები“-</u>აღწერა**:**მასწავლებელი ატარებს მინი ლექციას სესხის ტიპების(სამომხმარებლო, იპოთეკური,სასწავლო)შესახებ.მოსწავლეთა თითოეული ჯგუფს

	სთხოვს,აირჩიონ სესხის ერთი,კონკრეტული სახე და შექმნან ფლიბჩარტებზე თემატური პოსტერი.პოსტერში წარმოდგენილი უნდა იყოს შერჩეული სესხის შესახებ ამომწურავი ინფორმაცია და პასუხობდეს შეკითხვებს:სესხის ტიპი;სესხის მიზნობრიობა;სესხის პირობები და დაბრუნების წესები;რისკები და სარგებელი.(მიზანი-სესხის ტიპების გააზრება და კრიტიკული შეფასება) .თემაVI ბანკი,მომხმარებლის უფლებები/პასუხისმგებლობები. აქტივობა1.„ბანკში ვიზიტი”(როლური თამაში)აღწერა:მასწავლებელი კლასში მოაწყობს სიმულაციურ „ბანკის სივრცეს“. მოსწავლეები მოირგებენ მომხმარებლის,ბანკის თანამშრომლისა და დამკვირვებლის როლებს,დადგავენ სიტუაციას,სადაც კლიენტს სურს სამომხმარებლო სესხის/ანაბრის გახსნა.როლური თამაშის შემდეგ გაიმართება დისკუსია,სადაც მოსწავლეები აღწერენ და შეაფასებენ განვითარებულ მოვლენებს.(მიზანი-მოსწავლეებმა გააცნობიერონ საკუთარი უფლებები/მოვალეობები) აქტივობა2 „გაშიფრე პირობები!“-აღწერა:მოსწავლეები მუშაობენ ჯგუფურად.მათ მასწავლებელი გადასცემს მარტივ ენაზე დაწერილ საბანკო დოკუმენტის ნიმუშს(ანაბარი,სესხი,სარგებელი).მოსწავლეებმა უნდა „გაშიფრონ“ ძირითადი პუნქტები: ა)რა ვალდებულება აქვს კლიენტს? ბ)როდის იღებს ბანკი უფლებას ცვლილების შეტანაზე? გ)სად შეიძლება მომხმარებელმა იჩივლოს ბანკში აღმოჩენილი დარღვევის შესახებ? შემდეგ კი ჯგუფურად ქმნიან მომხმარებლის გზამკვლევს.მაგალითად:„5 რამ,რაც უნდა იცოდე სანამ ანაბარს გახსნი“.(მიზანი-მოსწავლეებში ტექსტური ინფორმაციის ანალიზის უნარის განვითარება,საბანკო ხელშეკრულებების მნიშვნელოვან დეტალებზე ყურადღების გამახვილება) თემაVI-რეფლექსია და შეჯამება აქტივობა1 „ჩემი ფინანსური მოგზაურობა“- აღწერა:მოსწავლეებმა დამოუკიდებლად,ფურცელზე საკუთარი ფინანსური გზის „რუკა”უნდა შეადგინონ,სადაც აღნიშნავენ:რა იცოდნენ პროექტის დასაწყისში;რას ისწავლეს გზადაგზა;სად მივიდნენ და როგორ გამოიყენებენ მიღებულ ცოდნასა და გამოცდილებას ცხოვრებაში.(მიზანი-მოსწავლეებმა მოახდინონ მიღებული ცოდნის პერსონალიზაცია,აიმაღონ შინაგანი მოტივაცია და თვითშეფასება) აქტივობა2 „ფინანსური ჩემპიონი“ და “ფინანსური მეკროსვორდე”.აღწერა:მასწავლებელი ციფრული პლატფორმა Kahoot-ში და crosworlabs.com-ში მომზადებული ციფრული რესურსის გამოყენებით ატარებს გუნდურ სახალისო ვიქტორინებს შესწავლილ ფინანსურ თემებზე.გამარჯვებულ გუნდებს

	გადაეცემათ“ ფინანსური ჩემპიონისა”,“ფინანსური მეკროსვორდეს” სერტიფიკატები.(მიზანი-ცოდნის შემოწმება სახალისო ფორმით,მოტივაციის გაზრდა/გუნდური მუშაობის წახლისება)
შედეგი, რომელიც დადგება პროექტის/აქტივობის შემდეგ (მიუთითეთ, როგორ გაზომავთ პროექტის განხორციელების შედეგს ან რითი შეაფასებთ პროექტის წარმატებას)	შედეგი,რომელიც დადგება პროექტის შემდეგ: ✓ მოსწავლეები დაეუფლებიან ფინანსური განათლების საბაზისო ცოდნასა და უნარებს. ✓ შეძლებენ ერთმანეთისაგან გაარჩიონ აუცილებელი და არასაჭირო ხარჯები. ✓ შეძლებენ პირადი ბიუჯეტის დაგეგმვას. ✓ შეაფასებენ დანაზოგისა და სესხის მნიშვნელობას. ✓ გამოიმუშავებენ დაგეგმვის, კრიტიკული და ლოგიკური აზროვნების, გადაწყვეტილების მიღებისა და პრობლემის გადაჭრის უნარებს. ✓ პროექტი ხელს შეუწყობს სკოლაში ფინანსური განათლების ამაღლებასა და ინტეგრირებას სასკოლო კურიკულუმში. <u>პროექტის შედეგების გაზომვის მეთოდები.</u> პროექტის შედეგიანობის შეფასება ემყარება კომპლექსურ მიდგომას,რომელიც მოიცავს სწავლაზე ორიენტირებულ დაკვირვებას,რეფლექსურ ანალიზს და პრაქტიკულ უნარებზე დაკვირვებას.ასევე,პროექტით დაგეგმილი შედეგების რეალური მიღწევის დონის დადგენას. თითოეული ეტაპის შემდეგ: ✓ მასწავლებლის დაკვირვება თითოეულ მოსწავლეზე და ჩანაწერების დღიურის წარმოება. ✓ პროექტის დასაწყისსა და დასასრულს სადიაგნოსტიკო კითხვარების შევსება/ანალიზი. ✓ თითოეული ეტაპის ბოლოს მინი კითხვარების შევსება. ✓ მოსწავლეთა თვითშეფასების ფორმების გამოყენება. ✓ მშობელთა და სასკოლო საზოგადოების უკუკავშირი. ✓ თანატოლთა შეფასება. <u>პროექტის წარმატების შეფასების კრიტერიუმები</u> 1. მოსწავლეთა დასწრების მონიტორინგი თითოეული შეხვედრისას. 2. აქტივობებსა და ჯგუფურ სამუშაოებში მოსწავლეთა ჩართულობის ხარისხის მონიტორინგი.(ჩაერთნენ თუ არა მოსწავლეები ინტერესით ყველა აქტივობაში?)

	3. სკოლის დირექტორის, პედაგოგთა და მშობელთა უკუკავშირების ფორმების ანალიზი. 4. დარჩა თუ არა პროექტი სკოლის სამომავლო გეგმაში? 5. პროექტის დასრულების შემდეგ მოსწავლეთა გამოკითხვის შედეგების ანალიზი პროექტის დადებითი და უარყოფითი მხარეების შესახებ.
დაახლოებით როდის გეგმავთ პროექტის ორგანიზებას/განგრძობითი პროექტის შემთხვევაში ინიცირებას	პროექტის ორგანიზებას და პირველი აქტივობის ინიცირებას მოვახდენ 2024-2025 სასწავლო წლის 1ოქტომბერს. აქტივობების ციკლი გაგრძელდება 10 დეკემბრამდე.